ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

41 (10079) •20 oqtomberi • 2014 w.

ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 30 თეთრი

ოზურგეთის მერმა ბეგლარ სიორიძემ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საჩუქრად მექანიკური ეტლები გადასცა

გაზეთი „ალიონი“

აქცია არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოებრივი აზრის“ ინიციატივით და ფონდ „სიცოცხლის ხე“დახმარებით ჩატარდა.

ეტლების გადაცემა ქ. ოზურგეთის მერიის შენობაში მოხდა. ხოლო შემდეგ განსაკუთრებული მძიმე ფიზიკური შესაძლებლობების პირებს ქ. ოზურგეთის მერი სტუმრებთან, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად სახლებში ეწვია და იქ გადასცა ეტლები.

ქ. ოზურგეთში, მერად კოსტავას ქუჩაზე მცხოვრებმა შშმ პირმა **მზევინარ ლურსმანაშვილმა** გაზეთ „ალიონთან“ თქვა: –„მიუხედავად ჩემი მდგომარეობისა, აქტიურ ცხოვრებას ვეწევი, ამიტომ ეტლი ჩემთვის აუცილებელია. ამჟამინდელი ეტლი დაზიანებული იყო და ნამდვილად დროული გამოდგა ეს საჩუქარი. ბეგი სიორიძე არც ბიზნესში ყოფნისას გვაკლებდა ყურადღებას და ნამდვილად მადლობელი ვარ ყველას, ვინც ეს აქცია დაგეგმა და ჩაატარა“.

ოზურგეთის მერმა **ბეგლარ სიორიძემ** განაცხადა:–„ჩვენ მხარს ვუჭერთ ამ აქციას. შევადგინეთ იმ ბენეფიციარების სია, რომლებსაც სჭირდებათ დახმარება და ამ ეტაპზე 20 ეტლს გადავცემთ. მინდა ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოებრივ აზრს.“ ეს აქცია აუცილებლად გაგრძელდება, არ იქნება პირველი და უკანასკნელი. ძალიან მნიშვნელოვანია ამ ადამიანებისთვის თითოეული ჩვენთაგანის გვერდით დგომა და ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას გამოიჩენს ქ. ოზურგეთის მერია მათ მიმართ.

მიხეილ დიაკონიძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოებრივი აზრის“თავმჯდომარე:–„პირველ ყოვლისა, მინდა მადლობა გადავუხადო ქ. ოზურგეთის მერს, ბატონ ბეგი სიორიძეს მხარდაჭერისათვის. მსგვსი ტიპის აქციები უკვე განვახორციელეთ კახეთში, აჭარაში, ქუთაისში, ტყიბულში, ვანში, ბოლნისში, დმანისში უახლოეს ხანში ვგეგმავთ მსგავსი ტიპის აქციებს სვანეთში, ადიგენში, ბაღდადში და ფოთში. ასევე შვიდი ცალი ეტლი აფხაზეთში გავაგზავნეთ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. ეს მხოლოდ პროექტის პირველი ნაწილია. ასევე უახლოეს პერიოდში ვგეგმავთ უფასო სამედიცინო გამოკვლევების ჩატარებას“.

ინფორმაციისათვის: ქ. ოზურგეთის მერმა თავისი უფლებამოვალეობის დაწყებისთანავე შშმ პირების გადასაადგილებლად პანდუსი მოაწყო მეორე სართულზე.

„ქამრების შემოჭერის“პოლიტიკა ოზურგეთულად

გაზეთი „ალიონი“

როგორც ვწერდით, სექტემბერ-ოქტომბრის დასაწყისში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დებატები მიმდინარეობდა საკრებულოს თანამდებობის პირების მიერ სადეპუტატო მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული 500-ლარიანი ანაზღაურების მიღებაარმიღებასთან დაკავშირებით. ინიციატორი „ქართული ოცნება“ გახლდათ, რასაც არ ეთანხმებოდა ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“ და რამდენიმე დეპუტატი, თუმცა საკრებულომ ეს საკითხი დადებითად გადაჭრა.

ორიოდე კვირაში საწინააღმდეგო ფაქტის მოწმენი გავხდით. „ქამრების შემოჭერის“ რა მოგახსენოთ, მაგრამ მუნიციპალიტეტის ყველაზე დაბალი რანგის მოხელე იმაზე მეტ ანაზღაურებას მიიღებს, ვიდრე კარგი პედაგოგი, ექიმი (გამონაკლისის გარდა) და ა.შ. არას ვამბობთ სბავშვო ბაღების და სხვა სამსახურების თანამშრომლების მიზერულ ანაზღაურებაზე.

ახალი რანგის მიხედვით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე და გამგებელი 2650-2650 ლარს მიიღებენ. თუმცა ეს არ არის ზედა ზღვარი და ახალი რანგირების მიღების შემდეგ, მათი ხელფასები შესაძლებელია კიდევ უფრო გაიზარდოს.

საკრებულოს პირველი მოადგილე და გამგებლის პირველი მოადგილე 2250-2250 ლარს მიიღებენ; გამგებლის მოადგილე –2050 ლარს, ხოლო სამსახურის უფროსი გამგეობაში და საკრებულოს სამსახურის უფროსები 1850-1850 ლარს მიიღებენ; საკრებულოს აპარატის უფროსი –1500 ლარს.

1050-1050 ლარს მიიღებენ საკრებულოს და გამგეობის განყოფილების უფროსები, გამგებლის წარმომადგენლები; გამგებლის და საკრებულოს თავმჯდომარის თანამშემწეები 1000-1000 ლარს მიიღებენ.

შესაბამისად 850,750, 700, 650 ლარს მიიღებენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის მთავარი სპეციალისტები, წამყვანი სპეციალისტები, უფროსი სპეციალისტები, სპეციალისტები. 650 ლარს მიიღებენ გამგებლის წარმომადგენლის თანაშემწეები.

დაგვაინტერესა, როგორ „იჭერენ ქამრებს“ სხვა მუნიციპალიტეტშიც და რამდენიმე მონაცემი ხარაგოულის მუნიციპალიტეტიდან ავიღეთ (გაზეთი „ჩემი ხარაგოულიდან“).

ხარაგოულში მთავარი სპეციალისტი, წამყვანი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი და სპეციალისტი შესაბამისად 560, 540, 520 და 500 ლარს მიიღებენ.

შეგვეძლო სხვა მონაცემებიც მოგვეტანა, მაგრამ როგორც ჩანს „ქამრების მოჭერის“პოლიტიკას სხვადასხვაგვარად აფასებენ.

როგორც საზოგადოებრივი დარბაზის და შემდეგ საკრებულოს სხდომაზე გაირკვა, საკრებულომ თანამშრომელთა რაოდენობა 9 საშტატო ერთეულით შეამცირა, დანარჩენი მუნიციპალიტეტის გამგეობამ და ამის ხარჯზე გამგებლის წარმომადგენლებს სოფლებში თითო თანაშემწე დაემატება, ხოლო დაბებს და დიდ სოფლებში ორ-ორი.

ოჯახური ძალადობის თემაზე არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოს პრეზიდენტს შეხვდნენ

16 ოქტომბერს ავლაბრის რეზიდენციაში ქალთა უფლებადამცველი ორგანიზაციის 28 წარმომადგენელი პრეზიდენტს შეეხვდით. შეხვედრის მიზანი იყო შეგვემუშავებინა ერთიანი პლატფორმა ოჯახში ძალადობის პრევენციასთან დაკავშირებით.

შეხვედრაში მონაწილე თითოეულ პირს მოგვეცა საშუალება, გვესაუბრა იმ პრობლემებზე, რომელსაც ვაწყდებით ოჯახში ძალადობის პრევენციის კუთხით.

ჩვენი ორგანიზაციის მხრიდან განსაკუთრებით ხაზი გაესვა იმას რომ, 2006 წელს მიღებულ კანონს ოჯახში ძალადობის შესახებ შემდგომ უნდა მოჰყოლოდა სერვისების შექმნა - კრიზისული ცენტრები და თავშესაფრები, განსაკუთრებით რეგიონებში. ზუსტად ამ ცენტრების არარსებობა ხელს უშლის პოლიციას განარიდოს მოძალადე მსხვერპლს ან პირიქით. ეფექტურად არ მუშაობს ასევე შემაკავებელი და დამცავი ორდერები. კერძოდ, შემაკავებელი ორდერის გამოწერის შემდეგ, 24 საათის განმავლობაში სასამართლომ უნდა დაამტკიცოს ორდერი, სადაც აუცილებლად უნდა იმყოფებოდნენ , როგორც მოძალადე, ასევე მსხვერპლი,

▶▶▶ გვ-2

სოფ. ლიხაურში „ექვთიმეობა“ გაიმართა

გაზეთი „ალიონი“

სოფ. ლიხაურში ექვთიმე თაყაიშვილის სახლ-მუზეუმის გახსნის შემდეგ მესამედ აღნიშნეს ექვთიმეობა. ორგანიზატორი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის სამსახური იყო.

თავდაპირველად სახლ-მუზეუმში ექვთიმე ღვთისკაცის სულის მოსახსენიებელი პარაკლისი ღვთისმშობლის მიძინების, ოზურგეთის საკათედრო ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა, მამა ბასილმა (კვირჩილაძე) აღავლინა.

შემდეგ ღონისძიებამ მუზეუმის აივანზე გადაინაცვლა.

▶▶▶ გვ-2

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, ღრუბელი +6+14	მზე, ღრუბელი +10+17	მზე, +14+24	ღრუბელი +11+24	ღრუბელი +14+24	მზე, ღრუბელი +12+22	ღრუბელი +11+18
20 ოქტომბერი ორშაბათი	21 ოქტომბერი სამშაბათი	22 ოქტომბერი ოთხშაბათი	23 ოქტომბერი ხუთშაბათი	24 ოქტომბერი პარასკევი	25 ოქტომბერი შაბათი	26 ოქტომბერი კვირა

სოფ. ლიხაურში „ექვთიმეობა“ გაიმართა

–„მადლობა უფალს, რომ არსებობს სოფელი ლიხაური და გყვავს ისეთი წმიდანი და მეოხი, რომელსაც მსოფლიო შენატრის. დღეს ჩვენ შევიკრიბეთ კიდევ ერთხელ იმისთვის, რომ ექვთიმე ღმრთისკაცის მიმართ მადლი და სითბო გამოვხატოთ, რასაც მადლიერება ჰქვია. ყველაზე ძვირფასი სიტყვაა მადლიერება, რომელიც მადლიდან მოდის", – ბრძანა **მამა ბასილმა**.

შემდეგ სიტყვით მუზეუმის დირექტორი **რუსლან ურუშაძე** გამოვიდა:

–2010 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ლიხაურში, ექვთიმე თაყაიშვილის მშობლიურ სოფელში სახლ-მუზეუმის აშენებამ, ხელახალი სტიმული მისცა ექვთიმეობის აღდგენას. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ექვთიმე თაყაიშვილი, დიმიტრი ყიფიანი, ნიკო ნიკოლაძე არ არიან მწერლები და სამწუხაროდ, არ ისწავლება სკოლაში. მუზეუმს კი აქვს საშუალება ახალგაზრდობას ჩვენ გავაცნოთ ამ დიდებული ადამიანების შესახებ. 2002 წლის 17 ოქტომბერს მოხდა ექვთიმე თაყაიშვილის წმინდანად შერაცხვა და აქედან გამომდინარე აღვნიშნავთ ექვთიმეობას.

როგორც ამბობენ კომუნისტების დროს ტარდებოდა ექვთიმეობა დიდი მასშტაბებით. 80-იან წლებში სოფ. ლიხაურში აიგო ექვთიმე თაყაიშვილის ძეგლი, რომლის ავტორი იყო, ლიხაურელი მოქანდაკე რობერტ გოგოლიშვილი, არქიტექტორი კი ანზორ გომართელი. ეს ღონისძიება რესპუბლიკის მასშტაბით იგეგმებოდა, ყველა კორიფე მეცნიერი ლიხაურში იყო, მაგრამ ზუსტი დღე არ იყო დადგენილი, უფრო მეტად გაზაფხულზე ტარდებოდა. სახალხო ზეიმი იყო, გაშლილი სუფრებით, სამეცნიერო კონფერენციებით და ა.შ. ოღონდ 90-იან წლებში შეჩერდა და 2010 წელს აღდგა",– გვითხრა რუსლან ურუშაძემ.

მერაბ ჭანუყვაძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი: –„ეს დღე თითოეული ოზურგეთელისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ექვთიმე ღმრთისკაცს თავისი მოღვაწეობის პერიოდში განსაკუთრებით უვლია ამ ქვეყანაზე და თითოეული ჩვენგანის ვალია ჩვენი მომავლის აღზრდა და გაზრდა იმ გზით, რომლითაც იარა ექვთიმე თაყაიშვილმა საქართველოსთვის. ეს არის სიმბოლო კაცთმოყვარეობის, ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის და ეს არის ზოგადად, სიმბოლო ჩვენი სახელმწიფოებრიობის".

ნუგზარ ასათიანი, გაზეთ „ალიონის“ რედაქტორი: –„გასული საუკუნის 80-იან წლებში ოზურგეთის კინოთეატრში რევაზ თაბუკაშვილის ფილმის„ საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“ ჩვენება გაიმართა, რომელსაც თავად ფილმის ავტორი ესწრებოდა. ამ პერიოდიდან ჩაეყარა საფუძველი „ექვთიმეობას“

პირადად მქონდა ბედნიერება ახლო ურთიერთობებში ვყოფილიყავი მის მოსწავლეებთან, პროფესორებთან შალვა გოზალიშვილთან და იური სიხარულიძესთან. ბატონი იური ამ ღონისძიებას ვერ ესწრება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

ექვთიმე თაყაიშვილი იყო არა მარტო ქართული განძის გადამრჩენი, არამედ ფართო მასშტაბის მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე. მისი დამსახურებაა ის, რომ გურია 1905 წელს გადაურჩა ალიხანოვს-ავარსკის დამსჯელი რაზმისაგან აოხრებას “

სახალხო დღესასწაულის მეორე ნაწილში კი მოეწყო ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა, სხვადასხვა სოფლის წარმომადგენლებმა სპეციალურად მოწყობილ

კუთხეებში ადგილობრივი წარმოების პროდუქტები გამოფინეს.

გამოფენაზე მუნიციპალიტეტის ყველა სოფელი და დაბა იყო წარმოდგენილი. იყო სოფლები, რომლებმაც განსაკუთრებით წარმოადგინეს მათი სოფლისათვის დამახასიათებელი ეთნოგრაფია (ვაკივჯვარი, მთისპირი, ცხემლისხიდი, ბახვი, შრომა და ა.შ). ხოლო დაბებმა (ნასაკირალი, ლაითური, ნარუჯა) ეკომიგრანტების საქმიანობისათვის დამახასიათებელი ნაწარმი. ყველა სოფლის გამოფენაში წარმოდგენილი იყო შემოდგომის ნობათი. ცალკეულ სოფლებს ასევე წარმოდგენილი ჰყავდა ფოლკლორული ჯგუფები.

სოფლის ცენტრში მოწყობილ სცენაზე მუნიციპალიტეტის ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი გაიმართა.

ოჯახური ძალადობის თემაზე არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოს პრეზიდენტს შეხვდნენ

პრაქტიკაში კი ამის განხორციელება საკმაოდ რთულია. ამის გამოც ხშირად შემაკავებელი ორდერის გამოწერის სანაცვლოდ, მოძალადეს ან ხელწერილს აწერინებენ, ან გაფრთხილებას აძლევენ, რასაც იურიდიული ძალა არ გააჩნია.

ხშირად გვსმენია იგივე პოლიციისაგან, რომ ქალები ცვლიან პოზიციებს და არ უნდათ მოძალადე ქმრებისადმი რაიმე სახის ქმედებები განახორციელოს პოლიციამ. ამასაც აქვს თავისი მიზეზები. რატომ აკეთებენ ქალები ამას! პასუხი მარტივია: ქალი მარტო რჩება პირისპირ გაცეცხლებულ მოძალადესთან, ვერ ხერხდება მათი განცალკევება, მიზეზი ისევ თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების არ არსებობაა. საზოგადოებაც არ არის მგრძნობიარე.

პრობლემა ხშირად ვერ გვარდება ერთი მიზეზით, არ ხდება კოორდინებული მუშაობა პოლიციას, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა, სოციალურ სამსახურსა და საზოგადოებას შორის.

დვაბზუში მომხდარი მკვლელობა შედეგია სწორედ ასეთი არაკოორდინებული მუშაობისა, ჩვეს ორგანიზაციას არ ჰქონდა ინფორმაცია ამ ოჯახის , როგორც რისკის შემცველი ოჯახის, შესახებ, წინააღნდეგ შემთხვევაში ჩვენ ამ ქალბატონს ბოლომდე დავიცავდით. ჩვენ გვაქვს ქეისები, სადაც ჩვენი აქტიური ჩარევით თავიდან ავიცილეთ ტრაგედიები.

სოციალური სააგენტოს ფუნქციებში შედის სოციალურად დაუცველთა ბაზაში მყოფი ოჯახების მონიტორინგი, რასაც პირნათლად და საკმაოდ კარგადაც ახორციელებენ, ხდება ხშირი მონიტორინგი იმ ოჯახებისა, რომლებიც სოციალურ შემწეობას იღებენ, თუმცა მათ ფუნქციებში არ შედის ოჯახები, სადაც მუდმივად ხდება ძალადობა. თუ გადავხედავთ წარმატებული ქვეყნების გამოცდილებას, იქ სწორედ სოციალური სამსახურია ჩართული რისკის შემცველ ოჯახებთან მუშაობაში. ოჯახში ცხოვრობენ ბავშვები, მათ უსაფრთხოებაზე არავის ზრუნავს. არის მხოლოდ ერთი მექანიზმი, ბავშვების გაყვანა და მინდობით აღზრდაში გადაყვანა. საერთოდ გაუქმდა ფსიქოლოგის პოზიცია სოციალურ სააგენტოებში. ქალი რჩება მარტო პირისპირ მოძალადესთან, რომელსაც აღარ აქვს არავის იმედი. საზოგადოება არ ერევა და არ მიიჩნევს ამას საშიშ ტენდენციად. მიაჩნიათ, რომ ის მათ პრობლემას არ წარმოადგენს.

განსაკურთებით ყურადღებამისაქცევია, რაზეც შეხვედრაზეც იყო საუბარი, ფასეულობები, ღირებულებები, რომელსაც უნდა იზიარებდეს საჯარო პირი, რომელიც მუშაობს პოლიციაში, ასევე ხშირია ფაქტები, როცა თავად პოლიციაა მოძალადე საკუთარ ოჯახში, ისინი გამოძახების შემთხვევაში მოძალადის მიმართ შემწყნარებლებია და ძალადობის მიზეზს ქალის ქცევაში ეძებენ. მენტალური პრობლემა მხოლოდ პოლიციის პრობლემა არ არის, საზოგადოებაში გამეფებული სტრერეოტიპების მსხვერპლია ის პოლიციელი, რომელიც ასევე საზოგადოების ნაწილია. დადგა აუცილებლობა პოლიციის სამმართველოებში შეირჩეს შესაფერისი კადრები, რომლებიც იმუშავებენ კონკრეტულად ოჯახში ძალადობის კუთხით.

მსხვერპლის სტატუსის მოპოვება ორი გზითაა შესაძლებელი: პირველი - პოლიციის თანამშრო-მელი გამოწერს შემაკავებელ ორდერს და მეორე - ჯანდაცვის სამინისტროსთან არსებული უწყებათაშორისი საბჭო ადგენს ამ სტატუსს. უწყებათაშორისი საბჭო უკვე ხუთი თვეა აღარ ფუნქციონირებს. იუსტიციის მინისტრის ქ-ნი თეა წულუკიანის სატელევიზიო ინტერვიუში აღინიშნა, რომ მალე დაკომპლექტდება საბჭო და გააგრძელებს მუშაობას. თუმცა, დააყოლა ფრაზა, სადაც აღნიშნა, რომ ამ საბჭოში უმრავლესობა მამაკაცები შევლენ. გაეროს უშიშროების 1325 რეზოლუციის თანახმად, რაზეც საქართველომაც მოაწერა ხელი , საუბარია იმაზე, რომ იქ, სადაც ქალთა უფლებებზეა საუბარი, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალები მაქსიმალურად უნდა იყვნენ ჩართულნი. ჩვენ ქალებს მართლაც გვაქვს ძალა და გამბედაობა, რომ დავიცვათ ჩვენივე უფლებები, შეურაცხმყოფელიცაა, როცა სახელმწიფო პირველი რანგის პირებიდან მსგავს შემოთავაზებებს ვიღებთ, თითქოს მამაკაცებმა უნდა დაგვიცვან.

შეხვედრის ბოლოს შევთანხმდით , რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციაა მზადაა ჩაერთოს ოჯახებში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ აქციებში (ასევე შევთანხმდით, რომ აქციების ფორმებზე ჩავატაროთ კიდევ ერთი შეხვედრა).

პრეზიდენტმა გამოთქვა მზადყოფნა და დაგვპირდა, რომ აუცილებლად დანიშნავს გენდერულ საკითხებში მრჩეველს, ან მრჩეველთა ჯგუფს, რომელთანაც შემდგომში ჩვენ, არასამთავრობო სექტორს გვექნება კოორდინაცია როგორც ქალთა უფლებების დაცვის საკითხებში, ასევე გენდერული თანასწორობის კუთხით.

17 ოქტომბერს სასტუმრო „ვერეპალასში“ გაიმართა შეხვედრა, რომლის ორგანიზატორიც გახლდათ საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ქალთა ფონდი საქართველოში“. შეხვედრის ფინანსური მხარდამჭერი გახლდათ ნიდერლანდების საელჩო ინგდომ ოფ ტჰე ეტჰერლანდს.

თემა ამ შეხვედრაზეც გახლდათ: „ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება-ქალი უფლებადამცველის დაცვა“. შეხვედრის დაწყებიდან 5 წუთში მოვიდა ინფორმაცია, რომ ილიაუნში კიდევ ერთი ქალი მოკლა მეუღლემ. შეხვერის ფორმატი ცოტა შეიცვალა, ყველანი დადუმებულები ვისხედით, ვაცნობიერებთ, რომ ბევრი რამაა გასაკეთებელი, რათა ეს დაუცველობის გრძნობა ცოტა მაინც შევცვალოთ.

ლელა ლომაიამ, რომელიც გახლავთ ნიდერლანდების საელჩოს წარმომადგენელი საქართველოში, ისაუბრა რა მიღწევები აქვთ ამ კუთხით ჰოლანდიაში. ვფიქრობთ, ამ ქვეყნის გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვანი იქნება საქართველოსთვის.

შეხვედრაზე მომხსენებელმა ნათია ღვინიაშვილმა წარმოადგინა ვირკშოპი: ინტეგრირებული და დიგიტალური უსაფრთხოება. მარი ჯობავამ, რომელიც გახლავთ ჰერა XI წარმომადგენელი გააკეთა მოხსენება რეპროდუქციული და სექსუალური უფლებების შესახებ.

სახალხო დამცველის აპარატიდან ეკატერინე სხილაძემ კი ემოციურად ისაუბრა გენდერული ნიშნით ძალადობის შესახებ, რომელსაც ხანგრძლივი დისკუსია მოჰყვა, იქვე რამდენიმე მეტრში მომხდარი კიდევ ერთი მკვლელობის გამო.

21 ოქტომბერს ოზურგეთის საკრებულოში კიდევ ერთ შეხვედრას ვგეგმავთ, რომელზეც მოწვეულნი არიან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები, სოფლებში გამგებლის წარმომადგენლები, ოზურგეთის მერიის საკრებულოს დეპუტატები. შეხვედრის მიზანია დაიგეგმოს ოზურგეთის ყველა სოფელში გასვლები, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ დეპუტატი, სოფელში გამგებლის წარმომადგენელი და პოლიციის წარმომადგენლები. ადამიანებმა უნდა გაიგონ, რომ ქალი მეუღლის საკუთრება არ არის და არავის აქვს უფლება ცემოს, სიტყვიერი შეურაცხოფა მიაყენოს ან სიცოცხლე მოუსწრაფოს ქალს, მეუღლეს. ოჯახში ქალი ყველაზე მეტად უნდა იყოს დაცული. დღევანდელი რეალობა კი აღმოჩნდა სულ სხვაა. ამაზე დაფიქრება და ბევრი მუშაობაა საჭირო. რასაც ცალცალკე ვერც ჩვენ, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ვერც ცალკე აღებული მთავრობა და პოლიცია და ვერც საზოგადოება ვერ შევძლებთ. უარი უნდა ვუთხრათ ძალადობას, პასუხი უნდა ვაგებინოთ მოძალადეს, მარტო არ უნდა დავტოვოთ მსხვეპლი, ჩვენ- ჩვენი წილი პასუხისმგებლობა ავიღოთ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ქეთევან ხიდაშელი,
არასამთავრობო ორგანიზაცია
„ქალები რეგიონის განვითარებისთვის“ ხელმძღვანელი.

„როცა ჯვარცმული დგახარ ტილოსთან“

ავთანდილ თავართქილაძის პერსონალური გამოფენა „მუზაში“

თემურ მარშანიშვილი

ღვინობისთვის მეთექვსმეტე დღეს თბილისში, მერაბ ბერძენიშვილის სახელობის საერთაშორისო კულტურის ცენტრმა „მუზამ“ თავისი თაღმაღალი საგამოფენო დარბაზი პერსონალურად ავთანდილ თავართქილაძის (თანდილას) შემოქმედებას დაუთმო. როგორც თვითონ მხატვარმა გვითხრა, შერჩეული ასორმოცდაათი ტილოდან „მუზის“ ღირსად მან საბოლოოდ მხოლოდ სამოცდათორმეტი ნამუშევარი მიიჩნია. სამოცდათორმეტივეში, თითქმის ორი საათის განმავლობაში, ცნობისმოყვარეობით „ძვრებოდა“ დამთვალიერებელი – ხელოვნებათმცოდნეები, თანდილას კოლეგები, თბილისელი და ოზურგეთელი სახვითი ხელოვნების მოყვარულები, ქალაქ ოზურგეთის ხელისუფლების აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი რგოლ-ების ხელმძღვანელები, ბეჭდვითი და ელექტრონული მედიის წარმომადგენლები.

ავთანდილ თავართქილაძე პირველი ოზურგეთელი მხატვარია, ვინაც თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მოქანდაკის, ბატონი მერაბ ბერძენიშვილის რუდუნებით შექმნილი „მუზა“ ვიზუალური და სულიერი მშვენიერებით დამუხტა. გამოფენამ, თეატრალური ტერმინი რომ გამოვიყენოთ, სრული ანშლაგით ჩაიარა.

ბეგლარ სიორიძე, ქალაქ ოზურგეთის მერი: დიდი მადლობა, ვინც მოახერხა და მობრძანდა ამ ღირსშესანიშნავ გამოფენაზე ერთი ლამაზი, გურული კაცის შემოქმედების გასაცნობად. დარბაზში ზუსტად იმას ვხედავთ, რასაც თითოეული ჩვენგანი ავთანდილისგან ელოდა – ეს არის ფერადოვნად წარმოდგენილი ვიზუალური და სულიერი მშვენიერება! უდავოდ ნიჭიერი კაცია, რომელიც ორ დიდ საქმეს უნარიანად და შემოქმედებითად უძღვება. საბედნიეროდ, ასეთი ხალხი ქმნიდა და ქმნის ოზურგეთში ხელოვნების კულტურას, ასეთ ხალხს არასოდეს დააკლდება ყურადღება ქალაქის ხელმძღვანელობისგან.

მარინა ჯაფარიძე, ქ. ოზურგეთის მერიის განათლების, კულტურისა და გენდერული თანასწორობის სამსახურის ხელმძღვანელი: ავთო პროფესიონალი შემოქმედია, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა და გამოირჩევა თავისი ხელწერით, ხედვით, სამყაროს განსხვავებულად და ორიგინალურად აღქმით. ძალიან სერიოზული გამოფენაა. ვულოცავ და გილოცავთ!

დავით შემოქმედელი, პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე: ძალიან მნიშვნელოვანი დღეა ჩემი ოზურგეთის ცხოვრებაში, მშობლიური ქალაქისა, რომელმაც დღეს დედაქალაქშიც სასურველი სულიერი და კულტურული ამინდი შექმნა. ავთანდილ თავართქილაძის შემოქმედებაში თავისუფლების ხარისხია მაღალი, სულიერი პრობლემა ჩანს. უპირველესად, სწორედ სულიერად მაღალი უნდა იყოს ჩემი რაიონი, რადგან იქ დიდი ხელოვანები მოღვაწეობენ...

მზია კვინტრაძე, მხატვარი, ჩოხატაურის სამხატვრო სკოლის დირექტორი: რასაკვირველია, კმაყოფილი ვარ დღევანდელი დღით, ფერწერის ზეიმია და ვულოცავ ავთოს, რომლის შემოქმედებაში მე მშობლიურ ფესვებს და პეიზაჟებს ვხედავ.

ვახტანგ მამეიშვილი, ვასკლავოსანი ოზურგეთელი მხატვარი: ჩემი დისშვილის გამოფენაა, რაც დიდად სასიხარულოა ჩემთვის. ავთო ჩემს გვერდით იზრდებოდა. ხედავდა, ვხატავდი და თვითონაც დაიწყო ხატვა. თანატოლებში გამოირჩეოდა გრაფიკული ხედვით. ბავშვთა პირველივე მსოფლიო გამოფენაზე, ინდოეთში ოქროს მედალი მიიღო, შემდეგ იყო სამხატვრო აკადემია და ის შემოქმედებითი გზა, რომლითაც ამ „მუზამდეც“ მოვიდა. 27 წელია ხელმძღვანელობს ოზურგეთის სამხატვრო გალერეას, სადაც ყოველთვიურად აწყობს არა მხოლოდ ოზურგეთელი, არამედ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მხატვრების გამოფენებს.

დავით ანდრიაძე, ხელოვნებათმცოდნე, პროფესორი: უპირველესად, ძალიან კარგია, რომ დღეს აქ ბევრი ხალხია. ალბათ იმიტომ, რომ ვიცით, ვისთან და რასთან გვაქვს საქმე. მაგრამ არ არის ის, ვინც პირველ რიგში უნდა იყოს, მხატვართა კავშირს ვგულისხმობ. სამარცხვინოა ასეთი მხატვართა კავშირი.

ავთანდილის შემოქმედება პირველად ვნახე ოზურგეთში ლადო მალაზონიას ვარსკვლავის გახსნაზე, რეტროსპექტული ნამუშევრებია. მთავარია მგრძნობელობა და არა უნიჭოდ აწეული ხმა. ეს პირველია და ვიმედოვნებ, რეგიონული გამოფენები თბილისში კიდევ იქნება.

ქეთევან პორძახია მხატვარი, ავთანდილ თავართქილაძის მეგობარი სამხატვრო აკადემიიდან: ბევრი მაქვს სათქმელი ჩემს მეგობარზე, უმაგრესი მხატვარია, ჩემთვის აქ გამოფენილი ტილოებიდან უმეტესობა ძველია, იმის თქმა მინდა, რომ მქონდა შესაძლებლობა, უფრო ადრე გავცნობოდი მის შემოქმედებას. გარდა იმისა, რომ საინტერესო შემოქმედია, ყველას პატრონი და მზრუნველიცაა. მიხარია, რომ გვერდით უდგახართ და მინდა ასე გაგრძელდეს იმიტომ, რომ ჩემი ავთო ნამდვილად ჭკუასაკითხავი მხატვარია.

ზვიად კვაჭანტირაძე, ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში: სახვითი ხელოვნება, სახელდობრ მხატვრობა, ყოველთვის იყო ოზურგეთის კულტურული ცხოვრების მაჯისცემის განმსაზღვრელი. სასიხარულოა, რომ ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის „მუზაში“ დღევანდელი ზეიმის მიზეზს ავთანდილ თავართქილაძეს, ვინაც წარმატებული შემოქმედებითი საქმიანობის პარალელურად, – რისი დასტურიც გახლავთ დღევანდელი გამოფენა, – ნაყოფიერად იღვწის ოზურგეთის სამივე თაობის მხატვართა სვე-ბედზე. მჯერა, ავთო კვლავაც ბევრჯერ გაგვახარებს მსგავსი წარმატებებით.

ზაზა სიორიძე, ბიზნესმენი: დიდი ბედნიერებაა, რომ ჩემს ოზურგეთს ასეთი მაღალი ხელოვანები წარმოადგენენ დედაქალაქში. რამდენადაც ვიცი, ავთოს, როგორც ნიჭიერ მხატვარს, მანამდეც იცნობდნენ, მაგრამ „მუზა“ – ეს უკვე აღიარებაა! პირადად ავთოსა და ყველა ოზურგეთელს ვულოცავ ამ დიდ წარმატებას.

ეთუნა კონტრიძე, ოზურგეთის სამხატვრო სკოლის აღზრდილი, სამხატვრო აკადემიის სტუდენტი: ბატონი ავთო ჩემი მასწავლებელია, მისი დამსახურებაა, რომ დღეს მე აკადემიაში ვსწავლობ. ქვეყნის დასალიერს რომ ვყოფილიყავი, ამ გამოფენაზე მაინც ჩამოვიდოდი.

ავთანდილ თავართქილაძე: ნამდვილად ვღელავ. აკადემიაში პირველად რომ მივედი, მხოლოდ მაშინ ვღელავდი ასე, მხოლოდ მაშინ მქონდა ასეთი განწყობა. გამოფენის მოწყობა ნებისმიერ დონეზე უდიდესი პასუხისმგებლობაა, როცა ირგვლივ ამდენი კარგი მხატვარია, სახვითი ხელოვნება ასე განვითარებულია, მაგრამ დღევანდელი დღე ნამდვილად ღირდა იმად, რომ ერთმანეთი გვენახა თუნდაც. მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ ყველას, თბილისელ თუ ოზურგეთელ საზოგადოებას აქ მობრძანებისთვის, ჩემი შემოქმედების გაცნობისთვის, გულშემატკივრობისთვის. დიდი მადლობა ქალაქ ოზურგეთის მერიასა და საკრებულოს, განსაკუთრებული მადლობა ქალაქის მერს ბატონ ბეგი სიორიძეს, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ გამოფენის ორგანიზებასა და მოწყობაში.

როგორც საგამოფენოდ მომზადებულ ბუკლეტში ვკითხულობთ, ეს გახლდათ ავთანდილ თავართქილაძის მეექვსე პერსონალური გამოფენა. „მუზამდე“ მისი ნამუშევრები გამოიფინა: საგამოფენო ცენტრ „მზიურში“ (მოსკოვი) – 1993 წელს; თურქეთში, ქალაქ ანკარაში – 2001 წელს; ისევ თურქეთში, ქალაქ სტამბულში, გალერეა „ჰოჯაში“ – 2002 წელს; ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრში - სურათების გალერეაში – 2010 წელს; ბათუმში, აჭარის ხელოვნების მუზეუმში – 2010 წელს; ქუთაისის დავით კაკაბაძის სახელობის ხელოვნების მუზეუმში – 2011 წელს.

თანდილამ კი თქვა, „ასეთი გამოფენა რომ გავაკეთო, ერთი ოცი წელი კიდევ დამჭირდებაო“, მაგრამ ეს, ალბათ, უფრო თავისთვის დამახასიათებელი მოკრძალებითა და პასუხისმგებლობით ნათქვამი იყო და იქედან გამომდინარე, რომ ავთანდილ თავართქილაძე, როგორც მოწიფული მხატვარი, დღეს შემოქმედებით ზენიტშია, ვიმედოვნებთ, მის ახალ ნამუშევრებს მალე ვიხილავთ ანალოგიურ გამოფე-ნებზე.

და ბოლოს, საკმაოდ ვრცელ საგაზეთო მასალაში ერთადერთხელ გამოვიყენე სამი წერტილი, ისიც იძულებით, რადგან გამოფენაზე დავით შემოქმედელის გამოსვლისას, სრულყოფილად ვერ მოვასწარი პოეტის მის მიერ წარმოთქმული ლექსის ჩაწერა, რომლის ერთი სტროფი – „როცა ჯვარცმული დგახარ ტილოსთან“ – ჯერ უზადო ლაიტმოტივად გაჰყვა მთელ გამოფენას, შემდეგ კი გვირგვინად, ანუ სათაურად დაედო ამ წერილს.

გურული პერსონაჟები ქვემო ქართლის თეატრის სცენაზე

ნინო ნიკოლაიშვილი

ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი ქვემო ქართლს, კერძოდ რუსთავის გიგა ლორთქიფანიძის სახელობის თეატრის სცენას ნოდარ დუმბაძის პერსონაჟებით სტუმრობდა. ნაჩვენები იქნა სამი სპექტაკლი: „გამოდი სულო სინათლეზე, ანუ ჭკვიანი გიჟები“, „თეთრი ბაირაღ-ები“ და „გამარჯობათ ხალხო“

– „პირველად ჩვენი თეატრის ისტორიაში გავედით რუსთავში. ეს გასტროლი ჩვენთვის არ იყო ადვილი, რადგან იქ ჩადის რუსთაველის, მარჯანიშვილის სახელობის თეატრები, იქაური მაყურებელი მიჩვეულია მაღალი დონის სტუმრებს – გვითხრა ოზურგეთის თეატრის მმართველმა ზაზა ჯინჭარაძემ. მისივე თქმით, მოულოდნელად შექმნილი პრობლემის მიუხედავად, სპექტაკლები რუსთაველმა მაყურებელმა განსაკუთრებული პატივითა და ოვაციებით მიიღო.

– „კარგი შეფასებები მივიღეთ თეატრმცოდნეებისგან, სპეციალურად მოწვეული სტუმრებისგან.

ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი ნუგზარ ბარამიძე წასვლის წინ ავად გაგვიხდა. მის როლზე მე შევედი, ჩემი როლი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს, ვასო ჩიგოგიძეს უნდა ეთამაშა. მოულოდნელად მას უახლოესი ნათესავი დაეღუპა, დაუკავშირდა მის აღზრდილს, რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობ ზურაბ შარიას. რომელიც ჩამოვიდა რუსთავში და როლსაც შესანიშნავად მოერგო. პირველივე ჩვენებას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. ქალაქის მერმა ოფიციალურ ბანკეტზე მიგვიწვია. მომავალში რუსთავის თეატრი გეგმავს ჩვენთან ჩამოსვლას.“

ეს გასტროლი ოზურგეთლებმა ნოდარ დუმბაძისა და გიგა ლორთქიფანიძის ხსოვნას მიუძღვნეს. როგორც აღინიშნა, გასაოცარი კავშირი შედგა დარბაზსა და მსახიბებს შორის.

დღეს ჩვენი მსახიობები ლიტვაში მიემგზავრებიან, სადაც ისინი სპექტაკლის „გამოდი სულო სინათლეზე, ანუ ჭკვიანი გიჟები“ ორ ჩვენებას გამართავენ. დაბრუნებულები ახალ სპექტაკლზე - „დონჟუანის დაბადება“ იწყებენ მუშაობას. – „ჩვენი სირთულე მოახლოებული ცივი სეზონია, თეატრის დარბაზში ძალიან ცივა და მსახიობებს უმძიმეს პირობებში უწევთ მუშაობა, ამჟამად კი მინდა მადლობა გადავუხადო ქალაქის მერს, ბატონ ბეგლარ სიორიძეს, რომელმაც თავად შეიძინა თვითმფრინავის ბილეთები და ჩვენი მგზავრობა დააფინანსა. ასევე მინდა მადლობა ვუთხრა გაზეთ „ალიონს“ საინფორმაციო მხარდაჭერისთვის. .“ – საუბრობს ზაზა ჯინჭარაძე.

წარმატებებს ვუსურვებთ ოზურგეთის თეატრს.

წერილი რედაქციას

ტყვიის წარმოება ოზურგეთის მოსახლეობის ჯანმრთელობას ემუქრება

ოზურგეთის მანქანათმშენებელი ქარხანა ერთ-ერთი საუკეთესო წარმოება იყო რეგიონში. ვიცით, ქვეყანაში მიმდინარე პროცესები მასაც შეეხო. 3 წლის წინ ქარხანაში ახალი მეპატრონეები მოვიდნენ ინდოეთიდან. როგორც გავიგეთ, მათ ქარხანაში პროფილი არ შეინარჩუნეს, დაზგა-დანადგარების უმეტესობა ჯართად გაყიდეს და დაიწყეს ძველი აკუმულატორების გადამუშავება. ისინი აკუმულატორებს შლიან, ცალკე პლასტმასის ნედლეულს აწარმოებენ და ცალკე ტყვიას ადნობენ.

ტყვიის გადამუშავება ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში პროცესია და როგორც ვგებულობთ, იქ მომუშავე ადამიანებს ჯანმრთელობის პრობლემები აქვს. შეწუხებულია მოსახლეობაც, რადგან გადამუშავებისას წარმოქნილი უცნაური სუნი აწუხებს, – საშიშროება ემუქრება მათ ჯანმრთელობას.

როგორც გავიგეთ შპს „მანსაროვს“ გადაწყვეტილი აქვს და შესაბამისი ბანერიც გამოაკრა, ტყვიის ჩამომმსხმელი საამქრო ააშენოს. ვიცით, ასეთი საამქრო მათ ჰქონდათ ქ. სამტრედიიდან დაცილებით, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტის შემდეგ ააღებინეს. ჯერჯერობით ოზურგეთის ხელისუფლებას ამ თემაზე თავისი პოზიცია არ დაუფიქსირებია.

მოგმართავთ თხოვნით,სპეციალისტებმა შეისწავლონ, რამდენად უსაფრთხოა ტყვიის ჩამომსხმელი საამქრო ადგილობრივი მოსახლეობისათვის და მიიღოთ ზომები ამ საამქროს მოსახლეობიდან დაშორებულ ადგილზე გადასატანად.

ქ. ოზურგეთის ყაზბეგის ქუჩის მცხოვრებთა სახელით:

თემურ ნაკაიძე, გოგი ბერსენაძე, ზურაბ თავბერიძე, ოთარ მიქატაძე, დავით ცხვარაძე.

P.S. *გაზეთი „ალიონი“ ამ ქარხნის პრობლემებზე ადრეც წერდა. (მ. ზაქარიაძე „ერთად მოვუაროთ საქართველოს“, გაზ. „ალიონი“29 ოქტომბერი, 2012 წ.) თუმცა ხელისუფლების გამოხმაურება არ ყოფილა. თვითმმართველობის რეფორმით, ამჟამად გაიყო მუნიციპალიტეტი ქ. ოზურგეთის და თემების მუნიციპალიტეტებად. ამ თემაზე მოგვმართეს თაყაიშვილის ქუჩის მცხოვრებლებმაც. ვფიქრობთ ეს თემა ქ. ოზურგეთის ხელმძღვანელებიდან სერიოზულ შესწავლას მოითხოვს.*

მანუჩარ მამეიშვილი – 85

85 შესრულდა სახელოვანი ქართველის, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის მანუჩარ მამეიშვილის დაბადებიდან.

იგი 1929 წლის 16 ოქტომბერს დაიბადა სოფ. ბახვში, მოსამსახურის ოჯახში. მისი ცხოვრება ერთი ფართო პოემაა, რომელსაც შეიძლება ნაწერთა ტომები მიეძღვნას, რადგან იგი იყო სახალხო ადამიანი, საუკუნისა და მისი დროის ქველმოქმედი ადამიანი, რომელიც იმაზე მეტს აკეთებდა, რის საშუალებასაც ბიუროკრატიული პარტიული აპარატი აძლევდა.

ბატონი მანუჩარის სახელს მრავალი კეთილი საქმიანობა უკავშირდება. იგი ფასდაუდებელ შრომასა და მოღვაწეობას ეწეოდა. მისი ხელმძღვანელობით ოზურგეთში არაერთი სასიკეთო საქმე გაკეთდა. სოფ. დვაბზუში აშენდა ახალი აღჭურვილობით საკონსერვო ქარხანა და ჩაის კონცენტრატების კომბინატი, რომელსაც შემდგომ ეწოდა საწარმოო-სამეცნიერო ფირმა „ბახმარო.“ეს კომბინატი ბატონი მანუჩარის გამოგონილ ჩაის ნატურალურ კონცენტრატებს და გამაგრილებელ უალკოჰოლო სასმელ „ბახმაროს“ უშვებდა, რომელიც არა მარტო საქართველოში, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის 160 ქალაქში გადიოდა.

სამწუხაროდ, გასული საუკუნის 90-იანი წლებში საქართველოში მიმდინარე კატაკლიზმების დროს ბატონი მანუჩარი ამ საწარმოს ნგრევასაც შეესწრო. რამდენიმე თვის ავადმყოფობის შემდეგ 1996 წელს გარდაიცვალა.

ბატონი მანუჩარი იღვწოდა სოფლის პრობლემების გადასაჭრელად, რასაც მისი საქმიანობა მოწმობს სოფ. ბახვში. იგი ნამდვილად მაგალითი იყო იმისა, თუ როგორ იღვაწოს ადამიანმა სამშობლოსათვის, იყოს ქველმოქმედი და მუდამ ზრუნავდეს ახალგაზრდების პრობლემების გადასაჭრელად, რაც მათ დასაქმებაში გამოიხატებოდა. მან საკონსერვო ქარხანაში შექმნა ახალგაზრდული კოლექტივი, სადაც სხვადასხვა სამუშაოებს წარმართავდნენ: *ილია ნადარეიშვილი, თეიმურაზ ქილიფთარი, რენო ურუშაძე, ილია ბილიხოძე, ჯემალ მამულაიშვილი, ანზორ ქინქლაძე, ალიკა გოგავა, ზაურ ბოლქვაძე, თამაზ კოროშინაძე, ილარიონ ჩხაიძე, ნარი ჩავლეიშვილი, იზოლდა არონიშიძე, ელიკო ანდღულაძე, ეველინა ქინქლაძე, იზო აფაქიძე* და სხვები. მათ შორის ბევრი გარდაცვლილია.

წელს გაზაფხულის დასაწყისში გარდაიცვალა მანუჩარის მეუღლე, ქალბატონი ლეილა.

ბატონი მანუჩარი ყველაფერში გამორჩეული იყო და თავიდანვე განზრახული ჰქონდა მის მიერ აშენებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ სკვერი გაეშენებინა და სადაც უსახური ნაგებობა უნდა აეღო, რომლის მეორე სართული ამ მიზნით დაანგრია. კარგი იქნება, თუკი აკაკის ქუჩის ამ მონაკვეთში ლამაზი სკვერი გაშენდება, რომელსაც სასურველია დიდი ადამიანის, მანუჩარ მამეიშვილის სახელი ეწოდოს.

ნარო თაყაიშვილი.

თემურ ღლონტი საერთაშორისო ტურნირის პრიზიორი

ქ. ბათუმში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ტაეკვონ-დოში (VTF) ოლიმპიური სახეობა. ტუნირში მონაწილეობას იღებდა 200-მდე სპორტსმენი – საქართველოს ნაკრები და თურქეთის 6 გუნდი. ტურნირს ესწრებოდა კონფედერაციის პრეზიდენტი VIII დანი ბატონი კახა ბასილია. აგრეთვე ირაკლი დოლაბერიძე.

ტურნირი მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული და ის ბათუმის მერიამ დააფინანსა. აღსანიშნავია აგრეთვე აჭარის ტაეკვონ-დოს ფედერაციის პრეზიდენტის ირაკლი ცენტერაძის და მთავარი ინსტრუქტორის აკაკი ცენტერაძის (III დანი) ორგანიზება და მხარდაჭერა.

ტურნირში +18 წელს ზემოთ გამოცდილი შავქამრიანი სპორტსმენები მონაწილეობდნენ. თემურ ღლონტი რომელიც ჯერ კიდევ 16 წლისაა და არის საქართველოს, კავკასიის, ევრაზიის, და საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, მან მონაწილეობა მიიღო ტურნირში, პირველი ბრძოლა თურქს მოუგო, მეორე კი საქართველოს, სამწუხაროდ მესამე ბრძოლა წააგო.

თემურ ღლონტი შეჯიბრებებში 52 კგ. წონით კატეგორიაში გამოდის, მაგრამ ოლიმპიურ სტილში წონა 58 კგ-დან იწყება, ამიტომ მას ამ წონით კატეგორიაში მოუწია გამოსვლა, სადაც საპატიო III ადგილი დაიკავა. იგი სპორტის განვითარების ცენტრის, სპორტის სასახლის ტაეკვონ-დოს მოზარდ სპორტსმენთა ჯგუფში ვარჯიშობს. იგი არის ოსტატი, შავი ქამარი–I დანი ტაეკვონ-დოში. მას წინ ბევრი მწვერვალი აქვს დასაპყრობი.

ირაკლი ტულუში,
ოსტატი, შავი ქამარი III დანი
ტაეკვონ-დოში

მძლეოსნობა

ქ. თბილისში „დინამო არენამ“ მძლეოსნობაში საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლა 1999-2001 წლებში დაბადებულთა შორის. აღნიშნულ ღონისძიებაში ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის გუნდი იღებდა მონაწილეობას.

გუნდმა საერთო ჯამში კარგად იასპარეზა, ხოლო ბრინჯაოს მედალი საქ. ნაკრების წევრმა ალიონა ტოლსტოვამ მოიპოვა 200 მეტრზე რბენაში, ასევე კონკურსს გარეშე იასპარეზეს და I ადგილები დაიკავეს სოფო შათირიშვილმა (ბირთვის კვრა) და ნანი პაკელიანმა (ბადროს ტყორცნა). საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენა დავით გოიმ სიგრძეზე ხტომაში, მან IV ადგილი დაიკავა.

აღსანიშნავია, რომ ალიონა ტოლსტოვა, დავით გოი, ნატო არაშიძე, ზურაბ კაკურიძე სწორედ ის ბავშვები არიან, რომლებიც 2015 წლის მინიოლიმპიადაზე საქ. ნაკრები გუნდის წევრები უნდა გახდნენ. (მწვრთნელი მარინე კოტრიკაძე)

ტურნირი ფარიკაობაში

ქ. ზესტაფონში ჩატარდა სიმონ საყვარელიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი ფარიკაობაში 2000-2001 წლებში დაბადებულთა შორის.

აღნიშნულ ღონისძიებაში თავი ისახელეს ოზურგეთის სასპორტო სკოლის აღსაზრდელებმა „დაშნაში“. კერძოდ, ომარ ხომერიკმა მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო თორნიკე ხომერიკმა მესამე. (მწვრთნელი მალხაზ კვაჭაძე.)

ნუკრი ღლონტის გახსენება



გავიდა ცრემლიანი და ტკივილიანი ერთი წელი, რაც ჩვენს გვერდით აღარ ხარ. ყველა სიტყვა უძლურია იმ ტკივილის გამოსახატავად, რაც შენმა გარდაცვალებამ მოგვაყენა. ძალიან გვიჭირს უშენობა.

შენი უდროო წასვლით შეწუხებულნი არიან შენი მეგობრები, ნაცნობები და ყველა ის ადამიანი, რომლებსაც შეხვედრიხარ ცხოვრების გზაზე და თავი დაგიმახსოვრებია ადამიანური სითბოთი, სიყვარულით, კარგი ურთიერთობებით.

დარწმუნებული ვართ ათასი სანთლით განათებული გზით მიაღწიე ცათა სასუფეველში, რადგან შენ იყავი სპეტაკი სულის ადამიანი. გვენატრები და გვენანები, ჩვენო საამყო და მოსიყვარულევ.

ღმერთმა ნათელში გვიმყოფოს შენი სული.

მეუღლე, შვილები და ყველა საყვარელი ადამიანი

ვიოლეტა ბაბილოძის გახსენება

ოცი წელი გავიდა იმ ავადმოსაგონარი დღიდან, უშენობა რომ დაერქვა ჩვენს ოჯახს. შვილის სიკვდილზე უფრო დიდი რა უნდა იყოს მშობლისათვის. მონატრებით გამოწვეული გაუსაძლისობით შენს საფლავზე დანთებულ სანთლებთან ცრემლად იღვრება აუტანელი ტკივილი. დრო უფრო ამძიმებს და მოუშუშებელს ხდის შენი არყოფნით გამოწვეულ დარდს.

შენი გარდაცვალების დღესთან დაკავშირებით გვინდა მოვიგონოთ ის რამდენიმე კუპლეტი ლექსი, რომელიც მოგიძღვნა ლენინგრადის მწერალთა კავშირის წევრმა ივსიხი ყალიჩავამ, რომელიც შენი პაციენტი იყო კარდიოლოგიურ განყოფილებაში და შენ მისი მკურნალი ექთანი იყავი:

თვალწარმტაცი გოგონა ხარ,
დიდება ხარ მნათზე მნათი,
სნეულებზე ზრუნვით სავსე,
ბრილიანტის ამანათი.
გულკეთილს და კეთილშობილს
მზე გიპყრია ბროილს ხელში
დალოცვილი ჩვენი ყოფის
ხარ სუნთქვა და ხარ ნუგეში.
ქვა კი არა, ოქროს გული,
გიდევს ოქროს საგულეში.
ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი
სპეტაკი და კეთილი გული.

შენი **ოჯახი**

ილო, კახა, დოდო რუსიძეები ოჯახებით იუწყებიან **თალიკო პუხლოვი-ჟანუყვაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

იყიდება

ოროთახიანი ბინა 12-სართულიანი სახლის მე-6 სართულზე.
მის. ქ. ოზურგეთი, გრიბოედოვის ქ. №31
ტელ: 599 24 95 51

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე